

სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა ქართულ ჩვეულებით სამართალში

გიორგი დავითაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და
სამართლის ისტორიის კათედრა

ანოტაცია

XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ქართულ ჩვეულებით სამართალში ჩამოყალიბდა სასამართლო მტკიცებულებათა შემდეგი სისტემა: ფიცი, აღიარება, ცოდვის მოკიდება, ორდალები, მოწმის ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულებები, ექიმის ჩვენება, ასევე მტკიცებულებანი, რომლებიც “მიცვალებულისადმი შეწირვის” ელემენტს შეიცავენ. ამ უკანასკნელთა შინაარსი ეფუძნება ქრისტიანობამდელ წარმოდგენებს მიცვალებულთა სამყაროს შესახებ. ამ წარმოდგენების მიხედვით, ტყუილად დამფიცებელი ითვლებოდა მიცვალებულისადმი შეწირულად, ე.ი. იმ ქვეყანაზე იქნებოდა მისი მონა-მოსამსახურე.

ყველაზე გავრცელებულ მტკიცებულებად ითვლებოდა ფიცი. XX საუკუნის ბოლოსაც კი საქართველოს ზოგიერთი კუთხის (ხევსურეთი, სვანეთი) ჩვეულებით სამართალში ფიცი პირველხარისხოვან მტკიცებულებას წარმოადგენდა. გადამწყვეტი მტკიცებულება იყო აღიარება, ხოლო მთის რეგიონებში “ცოდვის მოკიდება” უფრო რთულ და მძიმე საქმეებზე გამოიყენებოდა, ვიდრე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მძიმე დანაშაულობებისას მოწმის ჩვენების გამოყენება ფაქტიურად არ ფიქსირდება, მაშინ როცა შედარებით მსუბუქი გადაცდომებისას მას ითვალისწინებდნენ.

ორდალთაგან ფიქსირდება “შანთი” და “მდულარე”, ასევე გამოცდა “ცივი წყლით”. დაჭრა-დასახიჩრების საქმეებზე გამოიყენებოდა ექიმის ჩვენება. მაგალითად, ხევსური მედიატორები განაჩენის გამოტანისას დაჭრა-დასახიჩრების საქმეებზე ეყრდნობოდნენ დაჭრილის მკურნალი ექიმის ჩვენებას.

საკვანძო სიტყვები

სასამართლო მტკიცებულებები, ჩვეულებითი სამართალი, ფიცი, აღიარება, ცოდვის მოკიდება, ნივთიერი მტკიცებულებები, მოწმე, ექიმის ჩვენება, “მიცვალებულისადმი შეწირვა”, “ყურის მოჭრა”, “ყურბნად შემოვლება”, “ზედუა”, ორდალი.

XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქართულ ჩვეულებით სამართალში სასამართლო მტკიცებულებათა ასეთი სისტემა შეიძლება ჩამოვყალიბოთ: 1. ფიცი, 2. აღიარება, 3. ცოდვის მოკიდება, 4. მტკიცებულებები, რომლებიც “მიცვალებულისადმი შეწირვის” ელემენტს შეიცავენ, 5. მოწმის ჩვენება, 6. ორდალები, 7. ექიმის ჩვენება, 8. ნივთიერი მტკიცებულებანი.

ქართულ ჩვეულებით სამართალში ყველაზე გავრცელებულ სასამართლო მტკიცებულებას წარმოადგენდა ფიცი. საუკუნეების მანძილზე ხალხს ფიცისადმი

უდიდესი რწმენა ჰქონდა. საქართველოში ხატის შიშითა და რიდით მის წინაშე ტყუილად დაფიცებას ვერავინ გაბედავდა, ხოლო თუ ტყუილად ფიცს მაინც ექნებოდა ადგილი, ხალხის რწმენით, ტყუილად დამფიცებელს ღმერთი აუცილებლად დასჯიდა და ღვთაებრივი რისხვა მის გარდა მისი ოჯახის წევრებსაც დაატყდებოდა თავს. ფიცს ქართულ ჩვეულებით სამართალში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ეჭვმიტანილი სათანადო რიტუალის ჩატარებით (ძირითადად თანამოფიცრებთან ერთად) დაიფიცებდა ხატის წინაშე, მის მიმართ ყოველგვარი ეჭვი მოიხსნებოდა და იგი აბსოლუტურად გამართლდებოდა. ქართული ჩვეულებითი სამართალით დაფიცება ხდებოდა ხატზე, სახარებაზე, სანთლით ხელში, ხატის ნაბანი წყლით, ეკლესიის დროშით, ღვინოზე, გუთანზე და სხვა. ფიცის ყველაზე გავრცელებული სახე იყო ეკლესიაში ხატზე დაფიცება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხატში ანუ ჯვარში დაფიცება.

ქართულ ჩვეულებით სამართალში აღიარება წარმოადგენდა მტკიცებულებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დამნაშავეს ვინაობის დადგენისას. პიროვნების აღიარება მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ იგი დამნაშავედ ჩათვლილიყო, რასაც შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვებოდა. საერთოდ, აღიარების გამოსახატავად გამოიყენებოდა ტერმინები: “გამოტება”, “აღიარება”. ხევსურეთში ვხვდებით “დამნაშავედ დადებას”. ეს უკანასკნელი ხშირად მაშინ გამოიყენებოდა, როდესაც პიროვნება დანაშაულს სხვის ნაცვლად თავის თავზე იღებდა [1; 181].

დამნაშავეს “გამოტება” შესაძლოა სხვადასხვა საშუალებებით მომხდარიყო, მათ შორის ყველაზე გავრცელებული იყო ე.წ. ხატზე გადაცემა. ეს იყო დამნაშავეს დაწყევლა სხვადასხვა ხერხით. “ხატზე გადაცემა” დაწყევლის ყველაზე გავრცელებული სახელწოდებაა, იგი დღესაც ცნობილია; მაგალითად, დასავლეთ საქართველოში დაფიქსირებულია ხატზე გადაცემის უამრავი შემთხვევა, რომელსაც ახლო წარსულში ჰქონდა ადგილი. ხატზე გადაცემა ძირითადად გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც სოფელში მოხდებოდა რაიმე დანაშაული, მაგალითად, ქურდობა (პირუტყვის, რაიმე ნივთის და სხვა) და დამნაშავე არ ჩანდა. ამ დროს დაზარალებული მიმართავდა ხოლმე ხატზე გადაცემას. შესაძლოა მას წინასწარ სახალხოდ გამოეცხადებინა, რომ აპირებდა დამნაშავეს ხატზე გადაცემას. დაფიქსირებულია არაერთი შემთხვევა, როდესაც ასეთი მუქარით შეშინებული დამნაშავენი გამოტყდებოდნენ ხოლმე და ინანიებდნენ ჩადენილ ქმედებას. თან, ცხადია, უკან აბრუნებდნენ ნაქურდალს [2; 172]. ფშავ-ხევსურეთში ხატზე გადაცემის მსგავს დაწყევლას ერქვა “დარისხება”, ხოლო აჭარაში “ბედუა”. “ბედუა” პარასკევობით (“ჯუმა” დღეს, როცა მაჰმადიანური წესით ჯამეში ლოცვა ტარდებოდა) ხდებოდა დაზარალებულის მოთხოვნით. “ბედუამდე” ყველას შეატყობინებდნენ, რომ ამა და ამ საქმეზე ჯუმას “ბედუა” უნდა იყოს, თუ ვინმემ რაიმე იცის ამ საქმეზე, თქვასო. თუ ასე არ მოხდებოდა, ჯუმა დღეს ჯამეში ხოჯა დასწყევლიდა დამნაშავეს, აგრეთვე იმათ, ვინც რაიმე იცოდა საქმეზე. ხშირად მომხდარა, რომ ჯამეშივე, სანამ ხოჯა დაიწყევლებოდა, მასთან დამნაშავე მივიდოდა და გამოუტყდებოდა დანაშაულში, ან გამოჩნდებოდა პიროვნება, რომელიც დაასახელებდა დამნაშავეს ვინაობას. ამ შემთხვევაში “ბედუა” იშლებოდა [2; 182]. “ბედუა” “ხატზე გადაცემის” მსგავსად, თავისი იურიდიული ბუნებით სასჯელს წარმოადგენს, საჭიროებისას კი იგი გამოიყენება, როგორც დამნაშავეს გამოტყვის საშუალება (ძირითადად მაშინ, როდესაც დაზარალებულს კონკრეტულ პიროვნებაზე ეჭვი არა აქვს, თუმცა “ბედუა” კონკრეტული ეჭვმიტანილის მიმართაც შეიძლება ჩატარებულიყო). ამ მიზნით “ბედუის” გამოყენება მდგომარეობდა დამნაშავეზე ფსიქიკურ ზემოქმედებაში.

საზოგადოება, მათ შორის დამნაშავე, წინასწარ იყო ინფორმირებული “ზედუის” ჩატარების შესახებ და სრულიად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ “ზედუას”, იმავე წყევლას – რელიგიური სანქცია – ღმერთის მიერ დამნაშავისა და მისი შთამომავლობის ამოწყვეტა მოჰყვებოდა, რაც უბიძგებდა დამნაშავეს (და ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა) ელიარებიან დანაშაული “ზედუის” თავიდან ასაცილებლად.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით დამოუკიდებელ მტკიცებულებად გვევლინება ცოდვის მოკიდება. იგი მთიანი კუთხეებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ხევსურეთში. აქ ცოდვის მოკიდება უფრო მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა, ვიდრე იყო ბარში ვახტანგის სამართლის წიგნის შექმნის პერიოდში [3; 7]. ხევსურეთში მას ეწოდება “ცოდვის მოკიდება საფლავზე შახდომით” ანუ “ყურის მოჭრა”. იგი დაკავშირებულია საფლავზე შედგომასთან და სათანადო ფიცის ფორმულის წარმოთქმასთან. მკვლელობაში ეჭვიმტანილი მოკლულის საფლავზე შედგებოდა, მას ყურის ბიბილოს გაუკაწრავდნენ, სისხლის წვეთები საფლავზე დაეცემოდა, ხოლო ეჭვიმტანილი წარმოთქვამდა ფიცს, რომლის მნიშვნელობაც “ცოდვის მოკიდებაში” გამოიხატებოდა. იგი დაიფიცებდა, რომ თუ ის მკვლეელია, მაშინ მოკლულის ცოდვები მას ჰქონდეს და მისი “ყურმოჭრილი” მონა იყოს საიქიოს [4; 63-66]. ამრიგად, ხევსურეთში ძალზედ გავრცელებული მტკიცებულება “ცოდვის მოკიდება საფლავზე შახდომით” ანუ “ყურის მოჭრა”, “მიცვალებულისადმი შეწირვის” ელემენტის შემცველია, რაც სიმბოლურად “ყურის მოჭრის” იმიტაციითაა გამოხატული (ყურის ბიბილოს გაკაწრით და სისხლის საფლავზე დაწვეთებით). თუ ეჭვიმტანილი მიცვალებულის საფლავზე ტყუილად დაიფიცებდა, მის ცოდვას იღებდა საკუთარ თავზე და შეეწირებოდა მას, ე.ი. მისი “ყურმოჭრილი” მონა და მოსამსახურე გახდებოდა საიქიოს. ეს კი ხევსურისათვის უაღრესად დამამცირებელი იყო. ამიტომ ტყუილბრალად ხევსური ცოდვას არ მოიკიდებდა, რის გამოც ხევსურეთში “ცოდვის მოკიდება” ძალზედ სამიმო იყო და უფრო მნიშვნელოვან შემთხვევებში გამოიყენებოდა, ვიდრე საქართველოს ბარში.

“მიცვალებულისადმი შეწირვის” ელემენტის შემცველი სასამართლო მტკიცებულებანი საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება, თუმცა ხევსურეთისაგან განსხვავებით “ცოდვის მოკიდებასთან” კავშირი არა აქვთ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საფლავზე ფიცი თუშეთში. აქაც ეჭვიმტანილს მიიყვანდნენ საფლავებთან, დააჩოქებდნენ, დამსწრენი უთითებდნენ რა მასზე, ჩასძახებდნენ მიცვალებულთა სულებს: “ჩვენო წინაპარნო, მოგყავს რა თქვენთან სასამართლოში ეს კაცი, უფლებას გაძლევთ, მოექცეთ მას, როგორც თქვენ გნებავთ, მიეცით იგი მსხვერპლად და მოსამსახურედ ვისაც გინდათ, თუ იგი არ იტყვის სიმართლეს.” ამის შემდეგ ეჭვიმტანილი დაიფიცებდა თავის გამართლების მიზნით [5]. მოცემული სასამართლო მტკიცებულება შეიძლება დავეოთ ორ ნაწილად. პირველი ფაქტობრივად დამსწრეთა მხრიდან ბრალდებულის წყევლაა, თუ იგი ტყუილად დაიფიცებს, მეორე კი თვით ბრალდებულის ფიცია. სწორედ პირველ ნაწილში შეიმჩნევა “მიცვალებულისადმი შეწირვის” ელემენტი. დამსწრეთა სიტყვები “მიეცით იგი (მხედველობაშია ბრალდებული) მსხვერპლად და მოსამსახურედ ვისაც გინდათ, თუ იგი არ იტყვის სიმართლეს”, მაჩვენებელია სწორედ იმისა, რომ თუ ბრალდებული ტყუილად დაიფიცებს, მაშინ იგი შეწირული იქნება მიცვალებულისადმი საიქიოში და გახდება იქ რომელიმე მკვდრის მოსამსახურე.

აჭარაში “მიცვალებულისადმი შეწირვის” ელემენტს შეიცავს მტკიცებულება, რომლის სახელწოდებაცაა “ყურბნად შემოვლება”. მკვლელს რომ დაემტკიცებინა, მან მკვლელობა შემთხვევით ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა და არა განზრახვით, მას

მოკლულის საფლავისათვის სამჯერ უნდა შემოევლო ირგვლივ. თუ იგი ამას გააკეთებდა, დაზარალებული მხარე მას შეირიგებდა, თუ არადა მოსისხლეობა გაგრძელდებოდა. არსი “ყურბნად შემოვლებისა” კი იყო ის, რომ, თუ მკვლელი ტყუილად შემოუვლიდა საფლავს სამჯერ, ე.ი. განზრახ მოკლა, მაგრამ აცხადებდა, რომ მოკლა შემთხვევით და მაინც უვლიდა საფლავს ირგვლივ, იგი ასეთ შემთხვევაში მიცვალებულს შეეწირებოდა საიქიოში, მას “ყურბნად” გაუხდებოდა. ამრიგად, განზრახ მკვლელობის ჩამდენი “ყურბნად შემოევლებოდა” მის მიერ მოკლულის საფლავს, ამას ხალხის რწმენით იგივე შედეგი მოჰყვებოდა, რაც ტყუილად საფლავზე დაფიცებას თუშეთში და ტყუილად “ყურის მოჭრას” საფლავზე ცოდვის მოკიდებისას ხევსურეთში.

ქართული ჩვეულებითი სამართალი იცნობს სხვადასხვა სახის ორდალებსაც. ორდალი ანუ “ღვთის მსჯავრი” საქართველოში საკმაოდ ცნობილი სასამართლო მტკიცებულებაა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ვხვდებით “შანთისა” და “მდუღარის” გამოყენებას. იგივე ორდალების გამოყენება ფიქსირდება გურიაშიც [6; 143-144], “შანთის” ლეჩხუმში, სადაც ეჭვმიტანილებს სვანეთიდანაც გზავნიდნენ [7; 136]. XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მასალით დასავლეთ საქართველოში ფიქსირდება ორდალის კიდევ ერთი სახე, რომელიც ზემოთ დასახელებულ ორდალთა სახეებისაგან განსხვავებით ქართული სამართლის ძეგლებსა და სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტებში არ გვხვდება. ესაა “ცივი წყლით გამოცდა”, რომლის გამოყენებაც დასავლეთ საქართველოში (იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში) ხდებოდა ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმებით. მისი გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ კუდიანობასა და ჯადოქრობაში ეჭვმიტანილთა მიმართ ხდებოდა, მაშინ, როდესაც სოფელს რაიმე უსიამოვნება დაატყდებოდა თავს, რასაც კუდიანებს აბრალებდნენ (პირუტყვის დაცემა, სნეულების გავრცელება, უამინდობის გამო მოსავლის დაღუპვა და სხვა). “ცივი წყლით გამოცდა” საზოგადოების თანდასწრებით ტარდებოდა, რათა ყველა დარწმუნებულიყო – იყო თუ არა ესა თუ ის პიროვნება “კუდიანი”. “კუდიანობაში” ეჭვმიტანილს წყალში (მდინარეში, ტბაში) უშვებდნენ. თუ წყალში ჩაშვებული ეჭვმიტანილი ჩაიძირებოდა, იგი მართლდებოდა, ხოლო თუ მას “წყალი არ მიიღებდა” და იგი ზედაპირზე ამოტივტივდებოდა, მაშინ “კუდიანად”, “ჯადოქრად” მიიჩნევდნენ და დასჯიდნენ [8; 99, 100]. ორდალთა ზემოთჩამოთვლილი სახეები საქართველოში, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით XIX საუკუნის დასაწყისამდე თუ გამოიყენებოდა, შემდგომ პერიოდში კი მათი გამოყენება აღარ ხდებოდა.

ახლა შევეხოთ მოწმის ჩვენებას. ქართულ ჩვეულებით სამართალში მოწმის ჩვენება არ წარმოადგენდა გავრცელებულ მტკიცებულებას. ეს განსაკუთრებით ეხება მძიმე დანაშაულობებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ისეთ საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ მყარადაა დაცული გვაროვნული სოლიდარობის პრინციპი, რაც გამოიხატება, მაგალითად, სისხლის აღების ჩვეულების გავრცელებაში, მოწმის ჩვენება, როგორც სასამართლო მტკიცებულება, ძნელად იკიდებს ფეხს. ფშავ-ხევსურეთსა და სვანეთში ძალზედ საშიში იყო, რომ გარეშე პიროვნებას სასამართლო პროცესზე ვინმესთვის აშკარად დაედო ბრალი. ამის გამო მოწმის ჩვენება ხშირად არ გამოიყენებოდა და სადავო საქმეები, ძირითადად, ეჭვმიტანილისა და მისი ნათესავების ფიცით წყდებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ საქმეებს, რომლებიც სისხლის აღებას იწვევს, მაგალითად, მკვლელობას. გარეშე პირის მოწმობა “ახალ მესისხლეობას” გამოიწვევდა უკვე სხვა გვარებს შორის [9; 195]. გვაროვნული ურთიერთობის მქონე საზოგადოებაში, საქმეებზე, რომელიც სისხლის აღებას იწვევდა, მოწმის ჩვენება არ გამოიყენებოდა. სისხლის აღების შიშით მკვლელის წინააღმდეგ ჩვენებას არავინ მისცემდა, ამიტომ მოსამართლეები ჭეშმარიტების დადგენის სხვა საშუალებებს ეძებდნენ, ხოლო უფრო

მსუბუქი გადაცდომებისა და სამოქალაქო დავების დროს მოწმის ჩვენება საკმაოდ გავრცელებული მტკიცებულება იყო [10; 228].

მოსამართლეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოწმის ზნეობრივ თვისებებს, ასევე ჭკუასუსტები, მცირეწლოვანნი მოწმედ არ დაიშვებოდნენ. საქართველოს მთიანეთში არც ქალების მოწმობა იყო მიღებული.

ქართულ ჩვეულებით სამართალში სასამართლო მტკიცებულებად შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ნივთიერი მტკიცებულებანიც, მათი სახეზე ყოფნის შემთხვევაში. ეს შეიძლება ყოფილიყო ნაქურდალის კვალი, მისი რაიმე ნაწილი (ვთქვათ, მოპარული პირუტყვის ჩლიქი ან ტყავი), რაც დაზარალებულს აძლევდა საშუალებას აღმოეჩინა დამნაშავე, ბრალი დაედო მისთვის.

ქართულ ჩვეულებით სამართალში დაჭრა-დასახიჩრების საქმეზე მნიშვნელოვან სასამართლო მტკიცებულებას წარმოადგენდა ადგილობრივი ექიმის ჩვენება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. მედიატორი მოსამართლეები ჭრილობის სიმძიმის დადგენისას, ჩვეულებრივ ექიმის ჩვენებას ეყრდნობოდნენ. საუბარია ადგილობრივ ექიმებზე, რომლებიც მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ხერხებით მკურნალობდნენ. ცნობილია, რომ მიყენებული ჭრილობისათვის გადასახადის ოდენობა განისაზღვრებოდა ჭრილობის ადგილმდებარეობითა და სიმძიმით. ჭრილობის სიმძიმის განსაზღვრისას მოსამართლეები აუცილებლად დასტაქრებს დაეკითხებოდნენ ხოლმე. ჭრილობის სიმძიმის ზუსტი დადგენა მხოლოდ იმ ექიმს შეეძლო, რომელიც დაჭრილს უმკურნალებდა. მისი ჩვენება სასამართლო პროცესზე გადამწყვეტი სასამართლო მტკიცებულება იყო, რომელსაც მოსამართლეები განაჩენის გამოტანისას ეყრდნობოდნენ. ამრიგად, შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: დაჭრილის მკურნალი, ადგილობრივი ექიმი ადგენს ჭრილობის სიმძიმეს. იგი ესწრება სასამართლო პროცესს და ვალდებულია უპასუხოს მოსამართლეებს ჭრილობის სიმძიმესთან დაკავშირებულ კითხვაზე. ეს უკანასკნელნი კი სწორედ ამ პასუხს ეყრდნობიან განაჩენის გამოტანისას, რაც უდავოს ხდის ექიმის ჩვენებას, როგორც სასამართლო მტკიცებულების არსებობას ქართულ ჩვეულებით სამართალში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, კრ., "ქართული ჩვეულებითი სამართალი," თბ., 1988.
2. გ. დავითაშვილი, ო. ზოიძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), კრ., "ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, თბ., 1991.
3. გ. ნადარეიშვილი, ქართული ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტი – "ცოდვის მოკიდება", კრ., "ქართული ჩვეულებითი სამართალი," 2, თბ., 1990.
4. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.
5. И. Цискаров, Заметки о Тушетии, "Кавказ", 1849, # 11.
6. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1981.
7. ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925.
8. გ. დავითაშვილი, დასავლეთ საქართველოში "ცივი წყლით" გამოცდის შესახებ გასული საუკუნის ცნობები, ჟურნალი "სამართალი", 1999, # 6-7.
9. რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ.1, თბ., 1947.
10. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т.2, Москва 1890.

მიღებულია: 05.03.2004